

ენკოტეკ საქართველოს ფილიალი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ენკოტეკ საქართველოს ფილიალის მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9

ენკოტეკ საქართველოს ფილიალის მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

17 ნოემბერი 2025წ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლით დასრულებული წლისათვის

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ენკოტეკ საქართველოს ფილიალის (შემდგომში კომპანია) მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 17 ნოემბერს.

პატივისცემით,

მაია როხვაძე



ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

„ენკოტეკ“ საქართველოს ფილიალი

ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
შემოსავალი	5	2685874	2219589
თვითღირებულება	6	-2012157	-1634390
მოგება(ზარალი)		673717	585199
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	-553229	-525214
საოპერაციო მოგება		120488	59985
არასაოპერაციო შემოსავალი	8	13413	0
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთროსო სხვაობიდან	9	149457	-13262
მოგება დაბეგვრამდე		283358	46723
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		283358	46723
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		283358	46723



დირექტორი
რამიზ მუსტაფაევი
17 ნოემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო


მთ. ბუღალტერი
მაია როხვაძე
17 ნოემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	110,162	122,402	25509
სულ გრძელვადიანი აქტივები		110,162	122,402	25509
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	11	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12	425,112	144,818	187131
გადახდილი ავანსები		0	0	21916
საგადასახადო აქტივი		22368	67,758	17511
ფული და ფულის ექვივალენტი	13	300,988	104,895	59860
სულ მიმდინარე აქტივები		748,468	317,471	286418
სულ აქტივები		858,630	439,873	311927
კაპიტალი				
კაპიტალი	14			
გაუნაწილებელი მოგება(ზარალი)	14	-2,704,025	-2,987,383	-3034106
სულ კაპიტალი		-2,704,025	-2,987,383	-3034106
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	15	1785	15326	2881
მიღებული ავანსები	16	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
სხვა ვალდებულებები (დაფინანსება)		3,560,870	3,411,930	3343152
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,562,655	3,427,256	3346033
სულ ვალდებულებები		3,562,655	3,427,256	3346033
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		858,630	439,873	311927


 დირექტორი
 რამიზ მუსტაფაევი
 17 ნოემბერი 2025 წ.
 თბილისი, საქართველო


 მთ. ბუღალტერი
 მაია როხვაძე
 17 ნოემბერი 2025 წ.
 თბილისი, საქართველო

„ენკოტეკ“ საქართველოს ფილიალი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2024წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	დაფინანსება
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	3,765,881
ფულადი და არაფულადი აქტივების შეტანა	58,365
ფულადი აქტივების გატანა	
დივიდენდები	-
საკურსო სხვაობა	-481094
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3,343,152
ფულადი აქტივების შეტანა	93,040
ფულადი აქტივების გატანა	-11,000
დივიდენდები	-
საკურსო სხვაობა	-13262
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	3,411,930
ფულადი აქტივების გატანა	
დივიდენდები	-
საკურსო სხვაობა	148940
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	3,560,870



დირექტორი
რამიზ მუსტაფაევი
17 ნოემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

მთ. ბუღალტერი
მაია როხვაძე
17 ნოემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

„ენკოტეკ“ საქართველოს ფილიალი
 ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
 2024წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარი)

	შენიშვნა	2024წ	2023წ
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები მყიდველებისგან		2,405,599	2,263,016
მომწოდებლებზე ფულადი ნაკადები		-729,052	-536,551
ხელფასები		-1,441,328	-1,616,771
გადახდილი გადასახადები		-43,166	-42,211
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		192,053	67,483
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		13,413	-102,226
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		13413	-102,226
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა / შემცირება (დაფინანსება)			93,040
გადახდილი დივიდენდები		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		0	93,040
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა (კლება)		205,466	58,297
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა საწყისი ბალანსი	13	104,895	59,860
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		-9373	-13262
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა საბოლოო ბალანსი	13	300,988	104,895

დირექტორი
 რამიზ მუსტაფაევი
 17 ნოემბერი 2025 წ.
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
 მაია როხვაძე
 17 ნოემბერი 2025 წ.
 თბილისი, საქართველო

„ენკოტეკ“ საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

„ენკოტეკ“ საქართველოს ფილიალი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კომპანიას, დაფუძნებულია 2006 წლის 13 მარტს, საიდენტიფიკაციო ნომრით 205131819, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი #71. კომპანიის დირექტორია რამიზ მუსტაფაევი პასპორტი C03034280 ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ჯეიხანის პროექტის ფარგლებში საინჟინრო მომსახურების გაწევა.

კომპანიის 100% წილის მფლობელია დახურული სააქციო საზოგადოება „ენკოტეკ“ (აზერბაიჯანი) ს/ნ 1300144151, იურიდიული მისამართი: AZ1008, ქ. ბაქო, იასამალის რაიონი ჯაფარ ჯაფარლის ქ. ბ. 42. რომლის მესაკუთრეები არიან 27% წილის მფლობელი ელხან ჰუსეინოვ , 53% წილის მფლობელი ემინ ალიევი და 20% წილის მფლობელი ისმაილ ელიზადე.

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ეს არის კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, რომლის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. მონაცემები დამრგვალებულია ერთ ლარამდე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2024წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანიას პროგნოზირებად მომავალში არ გააჩნია ლიკვიდაციის ან საქმიანობის მასშტაბების არსებითად შემცირების სურვილი.

მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი“).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2024 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

დოლარი

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის

2.8068

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება ისტორიული ღირებულებით (თვითღირებულებით), რომელიც მოიცავს აქტივების შეძენასთან და ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ექსპლუატაციაში გადაცემის შემდგომი ხარჯებიდან მისი ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და ამასთან შესაძლებელია მისი ღირებულების რეალურად შეფასება, აღირიცხება ცალკე აქტივად ან ემატება უკვე მოქმედი აქტივის ღირებულებას.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი ცვეთის მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები გაანგარიშებულია ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებიდან გამომდინარე.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადა:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, კომპანიის მიერ შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულირების ფარგლებში. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინგაწეული მომსახურებიდან აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდა და საკუთრების უფლება გადაეცა.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო სარგებლის მიღება.

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მხოლოდ ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

დამფუძნებლის შენატანები

კომპანიას გაეწია ფინანსური დახმარება დამფუძნებლის მიერ ეტაპობრივად კომპანიის საქმიანობის გასაგრძელებლად.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

დაბეგვრა

კომპანია განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადიდან ცალკეული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფროექტის ფარგლებში.

შენიშვნა 1. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	2,685,874	2219589
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაც.	13,413	
სულ	2,699,287	2219589

შენიშვნა 2. თვითღირებულება

	2024	2023
მიწოდებული მომსახურება	2,012,157	1634390
სულ	2,012,157	1634390

შენიშვნა 3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	426,432	395,532
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	21,583	21,105
იჯარის ხარჯი	75,457	68,270
ძირითადი საშუალებების ცვეთა	12,240	2797
კომპიუტერის საექსპლუატაციო ხარჯი	2750	2062.5
საწვავი	2,096	3,180
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,265	18,065
საკონსულტაციო ხარჯი		1575
ბანკის საკომისიო	1,311	1,279
სხვა ხარჯი	672	915
სხვა ოფისის ხარჯები	9,423	10,433
სულ	553,229	525,214

შენიშვნა 4. არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)

	2024	2023
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	13,413	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(102,226)
სულ	13,413	(102226)

შენიშვნა 5. წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2024	2023
დადებითი საკურსო სხვაობა	(148,0940)	14,087)
სულ	(148940)	14,087

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ აქტივები
31-12-23	11,771	6771	4,461	23,003
პერიოდის ცვლა	-1,177	-1,204	-446	-2,827
გასვლა/ჩამოწერა	102,226			102,226
პერიოდის ცვლა	-852			-852
31-12-24	112,820	5,567	4,015	122,402
გასვლა/ჩამოწერა	-10,594			-10,594
პერიოდის ცვლა	102,226	-1,113	-401	100,711
	102,226	4,454	3,613	110,293
საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 31.12.2023	112,820	5,567	4,015	122,402
ბალანსი 31.12.2024	102,226	4,454	3,613	110,293

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2024	2023	2022
დებიტორული დავალიანება	425,112	144,818	187,131
სულ	425,112	144,818	187,131

შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024	2023	2022
ფული ბანკში	300,988	104,895	59,860
სალარო	0	0	0
სულ	300,988	104,895	59,860



დირექტორი
რამიზ მუსტაფაევი
17 ნოემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო

მთ. ბუღალტერი
მაია როხვაძე
17 ნოემბერი 2025 წ.
თბილისი, საქართველო